წალენჯიხის მუნიციპალიტეტში
სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. რეგულაციის სფერო

მოცემული დებულება არეგულირებს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თავისუფლებათა ქარტიის (საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმების) დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 დეკემბრის N2-1/497 ბრძანებით გათვალისწინებულ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნების პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებსა და საკითხებს.

2. სათემო საზოგადოებრივი საბჭო არის მერის საკონსულტაციო ორგანო და მიზნად ისახავს კონკრეტულ თემთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტილების შემუშავება-მიღების პროცესში მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. თემი - წალენჯიხის მუნიციპალიტეის ადმინისტრაციული ერთეული (დანართი N1)
2. სათემო საზოგადოებრივი საბჭო (საბჭო) - მერის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტულ თემთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტილების შემუშავება-მიღების პროცესში მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობის გაზრდას
3. მერი - წალნჯიხის მუნიციპალიტეტის მერი
4. არჩევნები - სათემო საზოგადოებრივი საბჭოების კომპლექტაციის მიზნით ჩატარებული საზოგადოებრივი არჩევნები
5. საარჩევნო ოფისი - სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნების ორგანიზაციისა და ადმინისტრირების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი ორგანო
6. საარჩევნო სუბიექტი - მოქალაქეთა რეგისტრირებული ან არა რეგისტრირებული გაერთიანება

მუხლი 3. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება

1. აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც

ა). რეგისტრირებულია შესაბამისს თემში,

ბ). არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და

გ). აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ პირობებს,

დ). გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საარჩევნო კოდექსით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება;

2. არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლების მონაწილეობის წესი დგინდება საარჩევნო ოფისი მიერ.

3. საბჭოს წევრი - პასიური საარჩევნო უფლება
ა). საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 18 წელი და საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.
ბ). არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი ოფიციალური წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი.

მუხლი 4. საბჭოს უფლებამოსილების ვადები

1. უფლებამოსილების ვადაა საბჭოს პირველი სხდომიდან 1 წელი
2. ახალარჩეული საბჭოს პირველი სხდომა ინიშნება მერის ბრძანებით.

მუხლი 5. საარჩევნო ოლქი

საბჭოს არჩევნებისათვის ყოველი თემი ერთი საარჩევნო ოლქია, რომელიც მოიცავს მოცემული თემის ფარგლებში 2021 წლის მუნიციპალიტეტების არჩევნების დროს არსებულ საარჩევნო უბნებს.

მუხლი 6. საარჩევნო სისტემა

საბჭოს არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

მუხლი 7. საბჭოს წევრების რაოდენობა

1. საბჭოს წევრების რაოდენობა უნდა იყოს მინიმ 5 წევრი
2. საბჭოს წევრების რაოდენობა შეესაბამება მოცემულ თემში შემავალი საარჩევნო უბნების რაოდენობას გამრავლებულს სამზე.
3. საბჭოების წევრების ზუსტი რაოდენობა განსაზღვრულია დანართი N2

მუხლი 8. საბჭოს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების სიების რეგისტრაცია

1. მოქალაქეები საბჭოს არჩევნებში მონაწილეობენ საარჩევნო გაერთიანებების, სუბიექტების სახით
2. სუბიექტების რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა). დანართი N3 მოცემული ფორმის შესაბამისად კანდიდატთა სიის წარმოდგენა, სადაც მითითებული უნდა იყოს არანაკლებ 10 კანდიდატის სახელი და გვარი რიგითობით 1-დან 25-მდე. წარმოდგენილი სიას ხელს უნდა აწერდეს ყველა კანდიდატი.

ბ). დანართი N4 მოცემული ფორმის შესაბამისად, ამ დებულებით აქტიური საარჩევნო უფლების მქონე და შესაბამისი თემში რეგისტრირებულ მოქალაქეთა ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი მხარდაჭერის (არანაკლებ 50 ამომრჩევლი) წარმოდგენა.

გ). ერთი-და-იგივე პიროვნება არ შეიძლება იყოს წარდგენილი რამდენიმე სუბიექტის მიერ. ასეთ შემთხვევაში ის რეგისტრირდება პირველად გამცხადებელი სუბიექტის სიაში.

დ). შესაბამისი დოკუმენტაცია საარჩევნო ოფისში წარდგენილი უნდა იყოს 14.01.2022 ჩათვლით.

მუხლი 9. საარჩევნო კამპანია

1. კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები.
2. წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) პერიოდში მონაწილე კანდიდატსა და სუბიექტებს უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვ. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა და წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა.
3. კამპანიაში მონაწილე კანდიდატს, სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, მოწოდებებს, რომლებიც მიმართულია არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ.
4. სააგიტაციო მასალებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ანალოგიით.

მუხლი 10. მონიტორინგი და მედია

1. არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, მედიის წამომადგენლებს, რომლებიც რეგისტრაციას გაივლიან საარჩევნო ოფისში;
2. რეგისტრაციისათვის საჭიროა შესაბამისი ფორმის შევსება;
3. ფორმის ნიმუშს ამტკიცებს საარჩევნო ოფისი.

მუხლი 11. ხმის მიცემის პროცედურა

1. ხმის მიცემის თარიღს, პროცედურასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ადგენს საარჩევნო ოფისი

მუხლი 12. შედეგების შეჯამება და გამოცხადება

1. არჩევნების შედეგების შეჯამება და გამოცხადება ხდება საარჩევნო ოფისის მიერ
2. არჩევნების შედეგების შეჯამება და გამოცხადების პროცედურას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ადგენს საარჩევნო ოფისი.

მუხლი 13. დავების განხილვა
1. დავების განხილვის წესსა და და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ადგენს საარჩევნო ოფისი.

მუხლი 14. არჩევნების ადმინისტრირება

1. არჩევნების პროცესის ადმინისტრირების მიზნით მერის ბრძანების საფუძველზე იქმნება საარჩევნო ოფისი
2. საარჩევნო ოფისი არის არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა ორგანოებისაგან
3. საარჩევნო ოფისის უფლებამოსილება, შექმნისა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება მერის ბრძანების საფუძველზე

დანართი N1 - თემი - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

1. მიქავას ადმინისტრაციული ერთეული
2. ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეული
3. ქალაქი წალენჯიხა
4. მედანის ადმინისტრაციული ერთეული
5. საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული
6. ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული
7. ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული
8. ქალაქი ჯვარი
9. ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული
10. მუჟავას ადმინისტრაციული ერთერული
11. ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული
12. ლიას ადმინისტრაციული ერთეული
13. ეწერის ადმინისტრაციული ერთეული
14. ობუჯის ადმინისტრაციული ერთეული

დანართი N2 – სათემო საბჭოების წევრთა რაოდენობა (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები)

#	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული	საარჩევნო უბანი	საბჭოს წევრების რაოდენობა
1	ქალაქი წალენჯიხა	6	18
2	ქალაქი ჯვარი	5	15
3	ლიას ადმინისტრაციული ერთეული	2	6
4	ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული	2	6
5	ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული	2	6
6	ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული	2	6
7	საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული	2	6
8	მუჟავას ადმინისტრაციული ერთერული	1	5
9	ეწერის ადმინისტრაციული ერთეული	1	5
10	მედანის ადმინისტრაციული ერთეული	1	5
11	მიქავას ადმინისტრაციული ერთეული	1	5
12	ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეული	1	5
13	ობუჯის ადმინისტრაციული ერთეული	1	5
14	ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული	1	5

დანართი N3 - სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნებში მონაწილე სუბიექტების სიის ნიმუში

სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნები - 2021 წ.	დანართი #3 - სათემო საზოგადოებრივი საბჭოების
სუბიექტის დასახელება -	არჩევნებში მონაწილე სუბიექტის სია

მე, ამ სიაში მითითებული მოქალაქე, ამ განცხადებით და ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ ჩემ ნებას მონაწილეობა მივიღო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნებში, როგორც მოცემული სუბიექტის (პროპორციული სიის) კანდიდატმა. ასევე, ვადასტურებთ, რომ ვეთანხმები სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნების წესებსა და პროცედურებს.

N	მოცემული სუბიექტის სიის კანდიდატების სახელი და გვარი	დაბადების თარიღი	საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის სერია და ნომერი	პირადი ნომერი	საცხოვრებელი მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)	ტელეფონი	ხელმოწერა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							

განაცხადის წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი	სახელი, გვარი		ხელმოწერა	საცხოვრებელი მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)	
	საკონტაქტო ტელეფონის ნომერი				
განაცხადის მიმღები პასუხისმგებელი პირი	სახელი, გვარი		ხელმოწერა	საცხოვრებელი მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)	
	საკონტაქტო ტელეფონის ნომერი				

დანართი N4 – სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნებში მონაწილე სუბიექტის მხარდამჭერთა სია (ნიმუში)

სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნები - 2021 წ.	დანართი #4 - სათემო საზოგადოებრივი საბჭოების
სუბიექტის დასახელება -	არჩევნებში მონაწილე სუბიექტის მხარდამჭერთა სია

მე, ამ სიაში მითითებული მოქალაქე, ამ განცხადებითა და ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნებში მოცემული სუბიექტის რეგისტრაციის მხარდაჭერას.

N	მოცემული სუბიექტის სიის კანდიდატების სახელიდა გვარი	დაბადების თარიღი	საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის სერია და ნომერი	პირადი ნომერი	საცხოვრებელი მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)	ტელეფონი	ხელმოწერა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							

განაცხადის წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი	სახელი, გვარი		ხელმოწერა	საცხოვრებელი მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)	
	საკონტაქტო ტელეფონის ნომერი				
განაცხადის მიმღები პასუხისმგებელი პირი	სახელი, გვარი		ხელმოწერა	საცხოვრებელი მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)	
	საკონტაქტო ტელეფონის ნომერი				

არჩევნების მიმდინარეობის გრაფიკი

N	აქტივობები /დანართი N2	დაწყება	დასრ.
1.	საარჩევნო დებულების შემუშავება და დამტკიცება	20.12.2021.1	21.12.2021
2.	საჯარო გამოცხადება და საზოგადოების ინფორმირება	22.12.2021	07.02.2022
2.1.	მიქავა, ნაკიფუ		
2.2.	ჯგალი, მედანი		
2.3.	საჩინო, ჩქვალერი		
2.4.	ობუჯი, ეწერი		
2.5.	ლია, ფახულანი		
2.6.	მუჟავა, ჭალე		
2.7.	ჯვარი		
2.8.	წალენჯიხა		
3.	საზოგადოებრივი საარჩევნო ოფისის ფორმირება	22.12.2021	07.02.2022
4.	კანდიდატების რეგისტრაცია	28.12.2021	14.1.2022
5.	საზოგადოებრივი საარჩევნო კამპანია	15.1.2022	07.02.2022
6.	საზოგადოებრივი არჩევნების დღე	08.02.2022	21.08.2022
6.1.	მიქავა, ნაკიფუ	08.02	
6.2.	ჯგალი, მედანი	10.02	
6.3.	საჩინო, ჩქვალერი	12.02	
6.4.	ობუჯი, ეწერი	14.02	
6.5.	ლია, ფახულანი	16.02	
6.6.	მუჟავა, ჭალე	18.02	
6.7.	ჯვარი	20.02	
6.8	წალენჯიხა	21.02	
7.	შედეგების ოფიციალური გამოცხადება	21.02.2022	
8.	პირველი სხდომის ჩატარება	25.02.2022	13.3.2022
8.1	საზოგადოებრივი დარბაზის პირველი სხდომის ჩატარება	25.02	
8.2.	სათემო საზოგადოებრივი საბჭოების პირველი სხდომის ჩატარება	01.03	10.03.
8.2.1.	მიქავა, ნაკიფუ	01.03	
8.2.2.	ჯგალი, მედანი	02.03	
8.2.3.	საჩინო, ჩქვალერი	03.03	
8.2.4.	ობუჯი, ეწერი	04.03	
8.2.5.	ლია, ფახულანი	05.03	
8.2.6.	მუჟავა, ჭალე	06.03	
8.2.7.	ჯვარი	07.03	
8.2.8.	წალენჯიხა	08.03	
9.	საზოგადოების ინფორმირება	11.03.2022	15.03.2022